

ლიზაკაზუკალი პენიშვნები

ქართული პერიოდული სამხატვრო-ლიტერატურა ორგანიზაციის ფურცლებზე სულ უფრო ხშირად იბეჭდება წარმოებები ქართული საბჭოთა პოეზიის ახალგაზრდა წარმომადგენლებისა, რომლებიც საშფერლო ასპარეზზე ომის წინ, საბაბულო ომის წლებში და ომის შემდგომ პერიოდში გამოვიდნენ.

გასული წელი შეიძლება ითქვას, რომ ნაყოფიერი იყო ჩვენი ლიტერატურის ახალი კადრებისათვის. პოეზიის დარგში მათ სათანადო წარმატებები მიადგინეს. ამასვე ვერ ვიტყვი პაროზის შესახებ, რომელიც კვლავ ჩანორჩენილ ენაზე რჩება.

დღევანდელ წერტილში ჩვენ ვილაპარაკებთ ახალგაზრდა პოეტების ცალკეული ქმნილებების შესახებ, რომლებიც გასულ წელს გამოქვეყნდა.

უცვლელად მისასალმებელ მოვლენად უნდა ჩათვალოს ალ. შენგელიას ლექსების ახალი ციკლი, რომელიც ეთრნალ „მნათობის“ ფურცლებზე დაიბეჭდა. ალ. შენგელია კარგა ხანია ზუსტად ქართული პოეზიის სფეროში; მისი ლექსების კარგული გამოვლენა იქვე ომის წინა წლებში, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ პოეტმა სწორედ ახლა მაღალია მაღალ იდეურ და მხატვრულ დონეს.

ლექსების ციკლის პრაქტიკა მტკიცედ დაიკვირდა ჩვენს პოეზიაში. ეს ითქმის როგორც ქართული, ისე რუსული საბჭოთა პოეზიის შესახებ. სანაშუბოდ შეიძლება დავასახელოთ კონსტანტინე სიმონოვის „მტკრები და მეგობრები“ და გრიგოლ აბაშიძის „სანახრეთ საზღვარზე“. ლექსთა ამ ციკლებში გამოქვეყნდა უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხები, რომელნიც აღფრებენ და ანტიერსობენ საბჭოთა შრომურებს.

ალეკო შენგელიას მიზნად დაუსახავს ლექსების მთელ ციკლში ასახოს ინდუსტრიის გიგანტის მშენებლობის მნიშვნელობა და მის მშენებელთა შრომითი აქტიუობა და ენთუზიაზმი.

ა. შენგელიას ლექსების ციკლში მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ ლექსები — „მოგვეციოთ ფოლადი“, „ბაბაღის ოცნება“, „მშობა“, „დაბადება“, „ბრინჯაოს მსხველი“, „მეორე სიტყვა კირილე უკლებზე“, „მშენებლობის უფროსი“, „ერთი სიმღერა“ და სხვები.

ლექსში „მოგვეციოთ ფოლადი“ ნათლად არის ნახელები ძლევაშისილი საბჭოთა ინდუსტრიის უდიდესი როლი ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და განვითარების საქმეში:

„ფოლადი უნდათ ახალ დარბაზებს დიდ შრომითა ცადაწვილ ხართულთ. ტანში ახორეკა კაბითი ვაზებს, რომ ჩახვიონ ფოლადის მეთულს. ფოლადს ელიან ქართლის შეილები, ფოლადს უზმობენ უოველი კუთხით. ხაზლები დვანან ქედმობდილები, რომ დაიხურონ ფოლადის ქუდი. ჩემი სამშობლო მიეღოს ფოლადს, ბედნიერ ცისქვეშ ღაღად გაშლილი, ტუბულის მიტეში არ ცხრება ბრძოლა, რადგანაც ფოლადს უნდა ნაშობი.“

ამ შრომითი აღმაშობის მიზანი ერთია: მაკად ძლიერი და ურყევი იყოს ჩვენი საშობლო, ყველა მშრომელთა საკეთილდღეოდ, მტრის თავზარდასაცქვად:

„ფოლადი გვინდა, რომ ხვალნდელი დღე უფოს მყვიდრი, როგორც ფოლადი, კბალებს იმტარევენ უოლსტრიატელი, წინ მიდიოდეს ჩვენი ხომალდი.“

საბჭოთა ხალხის შრომითი აღმაშობლბას, ახლის მშენებელ აღამიანებს, ხალხთა მეგობრობას უმღერის ა. შენგელია ამ ლექსებში. სტალინური მეგობრობით შეფიცული საბჭოთა ხალხები მტკიცე ნაბჯით მიდიან წინ და

„კომუნისმის ახრი იმარჯვებს საბჭოთა ხალხის უოველ ბრძოლში.“

ხალხთა დიად მეგობრობას ეხება ლექსი „მეორე სიტყვა ან. კირილე უკლებზე“. ამავე ლექსში პოეტი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ომგადაბდილი მებრძოლები სასწაულებრივ გმირობას იჩენენ ომის შემდგომ მშრომითი

პოეტს კარგად აქვს გადმოცემული ბოლშევიკური პარტიის მარგანიშე-ბელი და დამარბზავი როლი.

აქტიურად მუშაობდა გასულ წელს შალვა ამისულაშვილი. მისი სახით თანამედროვე ქართულ საბჭოთა პოეზიას ერთ-ერთი მზარდი პოეტი ჰყავს, რომელიც მთლიან ხმით უმღერის ჩვენს დიდებულ აშშყოს. ამაზე მტყვევლებს კერძოდ მისი ლექსი „გორის ციხიდან“.

არის ზოგიერთი პოეტი, რომელსაც ისე მძიმედ აწევს არქაიზმის ტვირთი, რომ რაც უნდა ახალ თემაზე სწერდეს, მარცხ წარსულის სახეებით აზროვნებს. შ. ამისულაშვილს ლექსი თავისუფალია ამ სახიფათო ტენდენციისაგან. პოეტის თემა მულამ თანადროული ცხოვრებაა; ზემოხსენებულ ლექსში ის წერს:

„შე იმ ძველებზევლ ცაბეზე ახა რა გამაჩერება, როდესაც გორის ქუჩებში იდგა ზღაპრული მშენება. ხალხთა დინებას გაუფეო ჩემი ფრონტული ჩქმებოთ. ბოლის გულგალადებულ ბუღადის სახლიან შეგჩერდა. იმ ურამულში, გუგუნში სამშობლოს სუნთქვა იხმოდა და გორის თავზე ხმატკბილად ზარს რეცდა მარადიხობა.“

სამშობლოს ეს ცოცხალი სუნთქვა ისმის პოეტის ლექსებში, როცა იგი გადმოგვცემს ხალხის შრომითი ენთუზიაზმს. თავის ნაწარმოებებში პოეტი ხატავს არის მთხრელებს, რომელთა მადლიანი მარჯვენა დაუცხრომლად იღწვის სამშობლოს საკეთილდღეოდ. გმირულ შრომითა ჩაბნული მთელი საქართველო:

„აქა ქართული ძვალმხვილი, აქა გულფიცის გურულიც, ხამხიდან, ათხი სხვა მხრიდან მოხულან ხიმღერის გუგუნით!“

სწორედ ამ ერთობაშია სოციალისტური შრომის ძალა, პოეტმა გეაჩვენა დაუფლადეი საბჭოთა ხალხი შრომის პროცესში, ხალხი, რომელიც ხელახლა ქმნის თავისი ქვეყნის ბუნებას. პოეტი კონკრეტული სახეებით გვიჩვენებს, რომ ჩვენი აღამიანები ბუნებას მოწყა-

ლებს იმედით როდი ცხოვრობენ, მათ არ აშინებთ უამბობობა და გვაღვივა ისინი ამიერიდან მარტო ღრუბლის იმედზე როდი იქნებიან, რომ ეგება წვიმა წამოვიდეს და სამგორი მორწყოს; პოეტი მიმართავს ღრუბლებს:

„უბი ედიდგულები?
ჯანდაბის გზაზედაც ვივლია!
ჩვენ უმები როდი ვართ ბუნების,
შუღარა დაგწყით ავრიდან.“

და მართლაც საბჭოთა ადამიანის შრომას შეუძლია „დაშაშრულ ყამირზე სიცოცხლის ღიმილი გააღვიოს“, უღაბნო წალკოტად აქციოს.

მ. ამისულაშვილი სამაბულო ომის ჯარისკაცი იყო. ომის შემდეგ მისი ლექსი მთელი მუხნებარებით უმღერის საბჭოთა ხალხის შრომითს გმირობასა და გაქანებას.

დიდი სამაბულო ომის მონაწილეა ეახტანგ გორგანელი. გასულ წელს გამოქვეყნდა მისი ლექსი „ახალ წლის ღამე“; უნდა ითქვას, რომ გორგანელი ჯერ კიდევ ვერ გასცილებია ომის თემას. ჩვენ იმის თქმა როდი გვინდა, რომ თითქოს ახლა სამაბულო ომის თემა უკვე ამოწურული იყოს. არა, საუკუნეებს ეყოფა მთაგონების თემად ის გმირობა, რაც საბჭოთა ხალხმა ბრძოლის ველზე გამოიჩინა. მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა აისახოს საბჭოთა ხალხის შრომითი გმირობაც, საჭიროა მეტი ახალი მთაბედილობანი, რომლებსაც უხვად იძლევა საბჭოთა ხალხის ომისშემდგომი ცხოვრება. ეს სიახლე კი გორგანელის ლექსებში ნაკლებად ჩანს. ჩვენ გვახსოვს მისი კარგი ლექსები „ფერფლი“, „ძმებო, დავლოცოთ გმირთა მარჯვენა“, „დაჭრილი არწივი“, „ახალი წელი ფრონტზე“. ყველა ეს ადრე დაწერილი ლექსები ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე უკანასკნელ ხანებში დაწერილი „ახალი წლის ღამე“. ამ ლექსში ალაგ-ალაგ ვხვდებით მხატვრულად გაუმართავ შედარებებსაც. აი, მაგალითად: „ღისაზღვრო ზიკას შიგა და შიგ ედება ქორფლი“, ან „კართოდნენ ყინულის ლოლუები — დევის კბილები“. მხატვრული შედარება მიზნად უნდა ისახედეს აზრის უფრო ნათლად გადმოცემას.

ეს შედარებანი კი უფრო აბნელებენ საკითხს.

გასულ წელსვე დაიბეჭდა იდეურად გამართული ლექსი „შეგირდები“, რომლის ავტორია ზაქარია შერეზადიშვილი. პოეტს ძალზე აქტუალური თემა აუღია, ლექსი ძირითადად კარგად არის შესრულებული, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შერეზადიშვილიც ხანდახან დაუდევრად ეპყრობა ფრაზას. მაგალითად ის წერს: „ურალის მიწამ პირველად ოცივე შეგირდს გვახამა“, ეს უმართებულოდაა ნათქვამი. პოეტი უნდა ეყადოს უფრო ჩამოყალიბებულ, გამოკვეთილი სახეები მოგვეცეს. ბუნდოვანია და ორაზროვანი შემდეგი სტრიქონების შინაარსიც:

„კომკავშირელთა ხელეშში
აღმათ ღიოთნიც გახელდა,
წერთან-წერთანი თასებში
შემოიწყვიტებ ჩარხებში.“

საკვირველია რატომ შემოიწყვიტეს თასებში ჩარხებში! მკითხველი იფიქრებს ალბათ ეს თასები უხარისხო მასალისაგან იყო დამზადებული. მათი დაწყვეტა გამოიწვევდა მანქანების შეჩერებას. მაგრამ ლექსში ხომ დაუდევარ მოძრაობაზეა ლაპარაკი?

საერთოდ კი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ სუსტ სტრიქონებს, ეს ლექსი უიქველად დადებითი მოვლენაა პოეტი ხატავს საბჭოთა ინდუსტრიის ენთუზიასტებს, პარტიის მიერ აღზრდილი ახალგაზრდა ადამიანების გმირულ მოსწრაფებას.

მიხეილ ზანგურაშვილის „რუსთავი“ ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია. აქ გადმოცემულია საბჭოთა ხალხის შრომის სასწაულებრივი ძალა, რომელსაც შეუძლია უღაბნოში ახალი ქალაქები ააშენოს:

„კობა ხახლებით დაფარავ
დაწვერა შიწა, ალაგა,
და უღაბნოში ვაშენდა
თვალისწარმტავი ქალაქი.“

ხალხის უდიდესი, დაუშრეტელი ძალა, ამოქმედებული დიდი ბოლშევიკური პარტიის მიერ — აი სათავე ყველა ჩვენი გამარჯვებისა პოეტი წერს:

„ეუცქერ და ვულზე ნოიებს ზღვან
მის მომხაზველი უხტარა,
— მე შენზე ადრე აუუადაი, —

სამგორს გახაბის რუსთავი, —
მხრები ზეცამდე გაეშალა,
იხე აუუადაი, ძმობილო,
გაყვირებული ჩემს სახეს
უუცქერ და ვეღარ ვცნობილომ!“

მხატვრული თვალსაზრისით სუსტია ამავე ავტორის ლექსი „იორი“. მასში გვხვდება რეალურ საფუძველს მოკლებული შედარებები; აი, მაგალითად პოეტი წერს:

„როცა მშენ მწერა მოგვაპურო
მწველი და ნაქრწყლიანი,
გულბელგაშლილი იორი
შემოგვხვდა ტალღის წკრიალით.
შემოგვხვდა ტალღის წკრიალით
და ხაუბარით გვაჩერებს,
მყარდს წერაქვ-მარით დაცხრილულს
ღამ-მორეული გვაჩვენებს.“

უხეირო გამოთქმაა „ტალღის წკრიალი“! შეიძლება ვთქვათ ტალღების ბორცვა, ღელვა, აბეირებება ან რაგორც ვაუა იტყოდა „ტალღის თქერანი“ და სხვ. ტალღის წკრიალი კი არ იძლევა რეალურ წარმოდგენას.

აქვე პოეტი ლაპარაკობს, რომ იორი მა გვიჩვენა „წერაქვ-მარით დაცხრილული თავისი მყარდით“. ჯერ ერთი არ ვარა „მდინარის მყარდი“ და მეორეც — წყლის დაცხრილვა ისევე წარმოუდგენელია, რაგორც შეუძლებელია წყლის დანით დაჭრა ცალკეულ ნაწილებად.

ნურავინ იფიქრებს, რომ ეს წვრილმანები იყოს. არა, ყოველი სახე ლექსში უნდა იყოს ზუსტი, ნათელი, რეალისტური, ის პირდაპირ უნდა ხედებოდეს მიზანში. ეს მოთხოვნები უნდა წარუდგინოთ ყოველ საბჭოთა პოეტს.

სამგორისადმი მიძღვნილი ლექსები გამოაქვეყნეს აგრეთვე ედიშერ ყიფიანმა და გიორგი ლეკეაშვილმა.

ედიშერ ყიფიანმა თავის ორ ლექსში: „ქართველმა კაცმა სამგორში“ და „გარდაბნელები“ სცადა მოეცა ხვალისდელი აყვავებული სამგორის სურათები. ლექსი „გარდაბნელები“ მართლაც კარგია, აქ ლაპარაკია სამგორის დიდ მომავალზე და მუხუცის ხალხისად შრომაზე, ახალგაზრდებთან ერთად.

ლიგიაგუკური პენიშენები

(დახასრული)

მეორე ლექსით „ქართულმა კაცმა სამგორში“ ახალგაზრდა პოეტს სურს დახატოს სამგორის ველზე გაშენებული მშენებელი ბაღი — „ცხრა დღე და ღამის სავალი“, სურს დახატოს მებაღის შრომა, მაგრამ ამ მიზანს იგი ვერ ახორციელებს. გაუგებარია თუ რის თქმა სურს პოეტს ბოლო ორი ტაეპით:

„ხო შევარძნი გამოლი
შესცვიდა, იხე შესცვიდა,
ქართულმა კაცმა სამგორში
წიგს უძღურება შესხვალა;
ამ მხარის დაწვას ღამობდა,
ოღლი ადინე გარეგნალობს,
შეგო ამოღა, ამოღა,
სუ ფარები გორახა!“

პოეტის ფანტაზია ამჯარად ყალბი და უსაფუძვლოა: თუ ისეთი სიტყვი იქნება „ხვალისდღე სამგორში“, რომ მხეც კი ვერ გაათბობს, მაშ რა ხეილებმა უნდა იხარონ? რატომ არ იფიქრა ამის შესახებ პოეტმა, როდესაც ასეთ რამეს წერდა?

სამგორის თემანე დამერილი ლექსები კიდევ ერთხელ მოწმობენ, რომ საჭიროა ჩვენი პოეზია უფრო თამამალ უსწორებდეს მხარს დღევანდელ ცხოვრებას. გაიხსენეთ ის უბრეტუნო კორესპონდენციები, რომლებიც ჩვენი პოლიტიკური პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა 1949 წელს და რომლებშიც გადმოცემული იყო ის შრომითი აღშავლობა, რომელიც საკოლმეურნეო გლეხობამ გამოიჩინა სამგორის სამუშაოებზე. რაოდენი პათოსი, რა ძლიერი პოეზია, რა შთამბეჭებელი საქმე იყო ამ საგანგებო წერილებში! განა ყველაფერი ეს სჩანს ჩვენს პოეზიაში? არა, ამ დიად საქმეთა მეთავედ ნაწილიც არ აუსახავთ ჩვენს პოეტებს. ეს კი აუცილებლად საჭიროა.

სუსტია გიორგი ლევიანს „დილა სამგორში“. ამ ექვს სტრიქონიანი ლექსიდან მკითხველს არაფერი რჩება მესხიერებაში.

გასულ წელს დაიბეჭდა რუთა ბერძენის ლექსების ციკლი „ლატვიამში“. პირველ ლექსში „ძმობილი საქართვე-

ლოსი“ პოეტი იძლევა ბუნების სურათებს, ხატავს ლატვიას, როგორც „საქართველოს ძმობილს“:

„ღამიანი არის ღატია —
ძმობილი საქართველოსი!“

მეორე ლექსში — „მაროულა“ პოეტი ცდილობს დაკვიხატოს ლატვიელისა და ქართველის მეგობრობა, მაგრამ ყოველივე ეს უფერული სტრიქონებით არის გამოთქმული. პოეტი მიმართავს ლატვიელ ქალს:

„მოვიწამე შენა ენის დიდებას,
ქაბუცება ტარაელის დარება,
მაროულა, ცეცხლი მოგვადება
გულში მათი სიყვარულის ტარებით.“

„გულში მათი სიყვარულის ტარებით“ — ძლიერ უხეიროდაა ნათქვამი. პოეტი ძალას ატანს ენას და ქართული ენის სისადავე შემბალული რჩება.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თემის არჩევასა და მის გაშლას. არჩიო თემა ხალხთა მეგობრობის, თუნდაც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ და გაშალო იგი დამიჯერებლად მბატრულ ტილოზე — ეს მოითხოვს შემოქმედისაგან ძალთა დაძაბვას და ფართო ერულიციას, სინამდვილის ორმად შესწავლის აუცილებლობას. არჩიო თემა საბჭოთა სოფლის ცხოვრებიდან — ეს მოითხოვს პოეტისაგან იმ სიახლის შეგრძნობას, რაც ანახვევებს სოციალისტურ სოფელს ან კოლმეურნე გლეხობას ძველი სოფლისაგან და რევოლუციამდელი გლეხობისაგან.

სოფლის ცხოვრებას მიუძღვნა ლექსი „რთველა კახეთში“ ახალგაზრდა პოეტმა ლადო ბრევილიშვილმა.

ამ ლექსში თითქოს ყველაფერი ბუნებრივად გვეჩვენება, თვალწინ წარმოვიდგება კახეთის ბარაქიანი რთველი, მაგრამ უნებურად იბადება კითხვა ლექსის გაცნობის შემდეგ: რომელი საუკუნის კახეთზეა ლაპარაკი? თანამედროვე საბჭოთა კახეთზე? საიდან გავიგოთ? აქ არაფერია დამახასიათებელი საბჭოთა სოფლისათვის. ის ამბავი რომ

„ხელახალ გადაქობილნი
და შარვალიაქაიებნი“

საწახედებში ჩამდგარან
წნით გარუჯული ბაქება.
ზოგს შენის ზუბზე ნახმადვი,
ზოგს მზია წარმწერადვი,
ზოგს ტახის წაშვარადვი
ზუბლიან ატყვია ქარილბა“.

შეიძლება ყოფილიყო გასულ საუკუნეებში და თანამედროვეობისათვის სპეციფიურად დამახასიათებელი აქ არაფერია. ლექსში უნდა სჩანდეს კახეთის საკოლმეურნეო შემოდგომა, კოლექტივიზაციის შედეგად სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საფუძველზე ძირფესვიანად გამოცვლილი ქართული სოფელი. განა არ შეიძლებოდა პოეტს ეჩვენებინა თუნდაც საჭურავი მანქანა და არა მამაპაპური საწინახელი და ყურძნის ფეხით წურვა, ეჩვენებინა მექანიზებული სოფლისათვის დამახასიათებელი სხვა სახეები. ეს რომ ჩანდეს, ლ. ბრევილიშვილის ლექსი ბევრად მოიგებდა, როგორც თანამედროვეობის ახასხველი ნაწარმოები.

კარგია ოთარ მამფორიას ლექსი „მოხუცი მებაღე“. ეს ნაწარმოები როგორც მბატრული გააზრების, ასევე შესრულების თვალსაზრისით მოწოდების სიმალეზე დგას, მაგრამ შეინიშნება ერთი უხერხულობაც. ჩვენ მხედველობაში გვაქვს შემდეგი გამოთქმა:

„... ეს მოხუცი გაუტყნული
მინდასავით ხეებს დახარას“.

შრომისადმი, ცოცხალი ბუნებისადმი სიყვარულის გამოსახატავად პოეტმა ვერ მოძებნა სახე, გარდა მინდასა. მაგრამ ეს სახე ხომ ლიტერატურიდან მოდის და არა ცხოვრებიდან? არა ახალი ადამიანის ბუნება შეუძლებელია გადმოიცეს ძველი სახეებით. საერთოდ კი ლექსში ნათლად არის დახატული სათნო სახე მოხუცი მებაღისა, რომელსაც თავისუფალმა შრომამ და ბედნიერმა ცხოვრებამ ახალი ენერჯია შესძინა.

აუცილებლად სუსტია ამავე ავტორის პოემა „ავტოგოგანტის ძმობებთან“. ეპიკური ტილოს შექმნა გაცილებით რთული საქმეა და მოითხოვს დიდ და დაკვირვებულ მუშაობას. პოემა — ეს ისეთი ფანტაზია, სადაც დახასიათებული უნდა იყოს ის ეპოქა და საზოგადოება, რომელშიც უხდება ცხოვრება პოემის გმირებს; თუ ეს

პირობა დატული არ არის, მაშინ ნაწარმოებს არც შეიძლება ეწოდოს პოემა ისევე, როგორც რომანს წარმოუდგენელია ამ პირობის გარეშე. ეპოქისა და საზოგადოების დახასიათება უნდა ხდებოდეს პოემის გმირთა მკვეთრი წარმოსახვით, მათი პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების გაშუქებით.

როდესაც მკითხველი იწყებს ო. მამფორიას პოემის კითხვას, ის მოელოდა, რომ აქ ასახული იქნება საქართველოს სიამაყის — ქუთაისის ავტოქარბნის დიადი მშენებლობა, მოელის, რომ პოეტი ასახავს ქუთაისელ მშენებელთა წარმტაც სახეებს, მაგრამ საშუალოდ ეს პოემაში არა სჩანს: არის თითქოს იმერეთის პეიზაჟი, საბჭოთა ქალიშვილის ცისკართან შედარებაც, „ჩაშაქრული მხეც“, მაგრამ მშენებლობის შესახებ კი ბევრი არაფერია ნათქვამი.

ჩვენი აზრით, არ შეიძლება ამ ნაწარმოებს ეწოდოს პოემა, რადგანაც მას არ ახასიათებს ერთი გარკვეული თანმიმდევრული ხასიათი, კომპოზიციური შეკრულობა და მტკიცე სიუჟეტური განვითარება. არც ერთი გმირი პოემისა არ არის მკვეთრად გამოსახული, არც ერთი სახე მკითხველს არ დაამახსოვრდება, არა სჩანს არც მათი პორტრეტები და არც მოქმედება.

ჩვენს ლიტერატურულ პრესაში გამოქვეყნებული ახალგაზრდა პოეტების ქმნილებებიდან უნდა აღინიშნოს აკაკი გეწაძის, ვ. საღლიანის, არჩილ სულაქარის, სტეფანე არღუნელის და შოთა აკობიას ლექსები, რომელნიც ყურადღებას იპყრობენ წრფელი ლირიკული უშუალობით, თემატიკური სიახლით და მბატრული დახვეწილობით.

ასეთია ჩვენი შენიშვნები. ცხადია, ჩვენი მიზანი არ იყო გავგერჩია მთელი პოეტური პროდუქცია, რომელიც გასულ წელს გამოქვეყნდა. ჩვენ მხოლოდ ცალკეულ ნაწარმოებებზე შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება, რათა უფრო მკვეთრად დაგვეყენებინა ჩვენი პოეზიის ახალი კადრების წინაშე სიახლისა და ნოვატორობისათვის ბრძოლის გადაუღებელი ამოცანა.

ვალერიან ითონიშვილი,
ჯონანი გაზრინდაშვილი